

4  
8-338

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ქეთევან მარტაშვილი

ბიბლიურ აღუზიათა ლინგვო-სტილისტური  
ფუნქციები ინგლისურენოვან მხატვრულ პროზაში

სპეციალობა 10. 02. 04. —  
რომანულ-გერმანიკული ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი ჯოხაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. (10.02.04)

ოფიციალური ოპონენტები: გურამ ლებანიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. (10.02.04)

მაია ყიასაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. (10.02.04)

დისერტაციის დაცვა შედგება 2003 წლის 26 მარტი, 2003 წ. საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P10. 01. №7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. აუდიტ. №- 93

მისამართი: 380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა '----' -----, 2003წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

 გ. წიბახაშვილი

### ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეხება ბიბლიურ ალუზიათა ენობრივი ბუნებისა და სტილისტური ფუნქციების კვლევას. ნაშრომის კვლევის ობიექტია ინგლისურ და ამერიკულ მხატვრულ ლიტერატურულ ტექსტებში გავრცელებული ის ფრაზეოლოგიური თუ არაფრაზეოლოგიური ბიბლიური გამოთქმები, რომლებიც ტექსტებში ალუზიის სტილისტური ხერხის როლში გვევლინებიან.

ბიბლია, როგორც უნივერსალური ქმნილება, საუკუნეების განმავლობაში ახდენდა გავლენას კაცობრიობის აზროვნებასა და კულტურათა ენებზე. მისი დიდი პოპულარობის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს ის, რომ უამრავი ბიბლიური გამოთქმა, ანდაზა, ანდაზური გამოთქმა, ფრთიანი ფრაზაა შესული მრავალი ენის ლექსიკონში. გარდა ენაში დაფიქსირებული ბიბლიური გამოთქმებისა, მხატვრულ ლიტერატურულ ტექსტებში ფართოდაა გავრცელებული უამრავი სხვა გამოთქმაც, რომელიც ბიბლიური ალუზიის სახით ფუნქციონირებს და ამდიდრებს მათ შინაარსს. ჩვენს ქვეყანაში ათეული წლების განმავლობაში არსებულმა ინტელექტუალურმა ავტარკიამ, რაც ბიბლიის, როგორც რელიგიური და როგორც ფილოლოგიური ძეგლის ირგვლივ არსებობდა, ქართველი მკითხველი მოსწყვიტა ბიბლიით საზრდოობის საშუალებას, რამაც, თავის მხრივ, სრულიად ბუნებრივად წარმოშვა ბიბლიურ ალუზიათა აღქმის სირთულეები. დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში ბიბლიის მიმართ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი აზრისა და დამოკიდებულების სასიკეთოდ შეცვლის პირობებში მეტად მნიშვნელოვნად გვეჩვენება ბიბლიზმების კვლევის აუცილებლობა.

15881

ნაშრომის აქტუალურობას სწორედ ზემოთ აღნიშნული ფაქტორები განაპირობებს: ბიბლიურ ალუზიათა ფართოდ გავრცელებულობა ინგლისურენოვან მხატვრულ პროზაში, მათი ინტერპრეტაციის სირთულეები, რაც უკავშირდება ერთის მხრივ, ალუზიის რთულ ფსიქო-ლინგვისტურ ბუნებას და მეორეს მხრივ კი მკითხველის ფენომენს, კერძოდ მისი ფონური ცოდნის დონეს, და ბოლოს, ჩვენს ქვეყანაში ბიბლიის მიმართ ინტერესის გამოცოცხლება. ეს პრობლემა უფრო აქტუალური მოჩანს თანამედროვე ლინგვისტიკაში პრაგმატული ასპექტის დომინანტური როლის ფონზე რადგან ალუზიის, როგორც პრაგმატულობის ენობრივი გამოხატვის საშუალების, როგორც ენობრივი კოდის ფუნქციონალურ თავისებურებათა კვლევა ობიექტური საშუალებაა იმ იმპლიციტური ინფორმაციის ამოსაკითხავად, რომელშიც ავტორისეული სუბიექტური შეფასებები, სამყაროს ავტორისეული ხედვაა აკუმულირებული.

კვლევის სიახლე მდგომარეობს ბიბლიური ალუზიებისადმი მიდგომაში: ნაშრომში ბიბლიური ალუზია შეისწავლება ლინგვო-სტილისტური თვალსაზრით თანამედროვე ლინგვისტიკაში დამკვიდრებული ინტერსუბიექტურობისა და კონიტიურობის ფონზე, როგორც ლინგვო-პრაგმატული მოვლენა, მისი ყველა შესაძლო ასპექტის გამოყოფით. მასში პირველადაა გაანალიზებული ალუზიის